



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხლისებური გუდაფშუკა



მსხლისებური გუდაფშუკა

მსხლისებური გუდაფშუკა (*Lycoperdon pyriforme*), საჭმელი სოკო გუდაფშუკოვანთა ჯგუფისა. ნაყოფსხეული ჟანგისფერი ან ღია ყავისფერია. მისი სიმაღლეა 2-5 სმ, დიამეტრი – 1,5-3 სმ. ფორმით მსხლისებრი ან კვერცხისებრია, ძირისკენ – განვრილებული. ჯგუფურად იზრდება დამპალ ხეებზე და მათ მახლობლად ბაფხულში და შემოდგომით. საკვებად ვარგისია მხოლოდ ნორჩი.

ი. ნახუცრიშვილი
